

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში, მარჯვ მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дრობა“.

გაზეთის ღირებულება: მთელი წელიწადი—8 მან., ნახევარწლისა—5 მან., სამთვიანი—3 მან., ერთი თვისა—1 მან.

სალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ქოველ დღე მკრებათს გარდა

ფასი განსაზღვრის: ერთი ასო—2 კაპ., ორი—3 კაპ., მესამე—4 კაპ., მეოთხე—5 კაპ., ხუთე—6 კაპ., ექვსე—7 კაპ., შვიდე—8 კაპ., ათე—9 კაპ., ათათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბუდოთ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მკრებათს, 21 მაისს
უფ. არწრუნის ახალს თეატრში
იმება კონცერტი

ა. გ. მენუიკოვისა

ბილეთების აღება შეიძლება ლანკოს მუზიკალურს მალაზიაში.

(2—1)

სალკე ნომერები „დროებისა“

ისყიდება თფილისში: აზნაურთის თამბაქოს მალაზიაში (ბულვარზე) და მართანოვისა და ბრიჭუროვის წიგნის მალაზიაში;

მუთაისში: უფ. პატე მესხის წიგნის მალაზიაში.

შოთში: რკინის გზის ვაგზალზე.

რკინის გზის ყველა სტაციებზე კონდუქტორებთან.

ტელეგრაფები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ლონდონი, 15 მაისს. ღწერალი უელსლი დაინიშნა ნატალისა და ტრანსვალის უმთავრეს სახენდრო და სამოქალაქო უფროსად. ლორდი ჩელმსფორი უელსლის ხელ-ქვეითი იქნება.

სტამბოლი, 15 მაისს. აღმოსავლეთ რუმელიის გამგებელმა რუსის ღწ. სტოლიპინმა გამოუცხადა მსმალეთის მთავრობას, საჭიროაო, რომ რუსის ჩინოვნიკების მაგიერად მალე დანიშნოთ რუმელიაში მსმალთს ჩინოვნიკებიო.

რუმელიაში ჩაყენებულ რუსის ჯარების უფროსებს ბრძანება მოუვიდათ, რომ საჩქაროთ მოემზადონ რუსეთში დასაბრუნებლად. რუსის ჯარები და ჩინოვნიკები ერთად დაბრუნდებიან რუმელიაში რუსეთში.

მოსკოვი, 15 მაისს. ბუშინ პეტროვისკის პარკში ორჯერ გაჩნდა აქ დიდი ცეცხლი.

ბაქო, 17 მაის. „თფილისის მოამბის“ ტელეგრაფში. ამ მაისის 20-ს ღწერალი ლაზარევი თავის შტაბით ჩიკიშლი-არში გადადის.

კმტმრპურლის ბირჟა, 17 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის — — — —	97—37
მეორე — — — — — — — —	96—50
მესამე — — — — — — — —	96—25
მეოთხე — — — — — — — —	96—37
აღმოსავლეთის პირ. — — — —	94—75
აღმოსავლეთის მეორე — — — —	94 — ”
მქრო, 1/2 იმპერიალი — — — —	8—60
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს უფრცელი — — — —	” — ”
შინაგანიშ, სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის — — — —	243—25
მეორე სესხის — — — —	238 — ”
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — — —	23—50 პენსი
ამსტერდამი — — — —	116 ” ცენტი
ბერლინი — — — —	196 ” ჰფინიგი
პარიჯი — — — —	242 ” სანტიმი
ბავკასიის კერასინი — — — —	” — ”

საქართველო

ჩვენი თავად-აზნაურობა

(შიკრები წლოვანდელის კრებების გამო) (სტატია მესამე *)

ზემომოყვანილ გარემოებათა გარდა, რომლებმაც ცხადთ დაამტკიცეს—თუ რა განსხვავებას, რა უბსკრულოს სდებენ ჩვენი თავად-აზნაურები თავისა და გლეხის ინტერესებსა და სარგებლობას შუა, რომელთაც ნათლად გვიჩვენეს, რომ ჩვენ თავადსა და აზნაურს თითქო ყველაფერში ჰსურს გაცალკევდეს, განუდგეს საქართველოს დანარჩენ ხალხს,— ამას გარდა წლოვანდელი სხდომები ბევრი სხვა მხრითაც იყენენ შესანიშნავნი.

მოგვხსენებთ, რომ თავად-აზნაურთა კრებას უფლება აქვს კანონით მინიჭებული, რომ, თუ რაიმე აუცილებელი საზოგადო ნიჭიერობა აღმოუჩნდა, იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობასთან, და ეს მთავრობა ხშირად აკმაყოფილებს ამ გვარ თხოვნას და შუამდგომლობას, ან თუ იმ წამსვე არ დააკმაყოფილებს, შემდგისათვის მაინც მხედველობაში მიიღებს.

როგორ სარგებლობენ ამ კანონისა-

გან მინიჭებულის უფლებით თფილისისა და მუთაისის თავად-აზნაურთა კრებები?

თფილისის თავად-აზნაურობა თითქმის მუდამ წელს ერთსა და იმავე თხოვნას უმეორებს მთავრობას: პრიკაზის ვალი გვაპატიეთო! მუთაისის კი ესადავს საციმბირე ანუ ციმბირში გავზავნილი თავადი და აზნაური გვაპატიეთო! ჩვენს სსოვნაში მხოლოდ ერთხელ ითხოვა თფილისის თავად-აზნაურობამ ისეთს საგანზე, რომელზედაც ღირდა თხოვნა, რომელიც მართლა საზოგადო საჭიროებას შეადგენდა: ბაქო-თფილისის რკინის გზის პანეთზე გაცყვანის შესახებ. წლოვანდელ კრებაზედაც ერთს საგანზე გადაწყვიტა შუამდგომლობა, რომელსაც აგრეთვე აქვს ახლა ცოტაოდენი მნიშვნელობა, თუმცა ბევრი მაგდენი არაფერი: თფილისის რეალურ სასწავლებელში კურს-შესრულებულ ყმაწვილკაცებს უფლება მიეცესთო, რომ უეზამენიოთ შევიდნენ რუსეთის სხვადასხვა უმაღლესს სასწავლებელშიო.

რაც დრო მიდის, სხვადასხვა საზოგადო საჭიროება თანდათან უნდა მატულობდეს, თანდათან საგრძობი და აუცილებელი უნდა ხდებოდეს. თანდათან უნდა ვგრძობდეთ, მაგალითად, ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ერობისა (ზემსტოვოს) შემოღების საჭიროებას, თანდათან უფრო უნდა ვგრძობდეთ უნივერსიტეტის, სამეურნეო და სხვა უმაღლეს სასწავლებლის დაფუძნების საჭიროებას, თანდათან უფრო უნდა ვგრძობდეთ ჩვენს საშუალო სასწავლებლებში სამშობლო ენის სწავლის რიგიანათ დამყარების აუცილებლობას და სხვას ბევრს მართლა ნამდვილ და აუცილებელ საჭიროებას უნდა ვგრძობდეთ.

მაგრამ ვინ არის პაკრონი? ვინ არის, რომ მთავრობას შეატყობინოს ყველა ეს ჩვენი საჭიროება და ითხოვოს იმათი დაკმაყოფილება? რას შერებინ ჩვენი თავად-აზნაურობის მოწინავე კაცები?

რას შერებოდა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან პატივცემული ილია შაუკვაძე, როდესაც ამ თავად-აზნაურობას გაცხარებულ ბაასი ჰქონდა იმაზე: ვიშუამდგომლოთ უმაღლეს მთავრობასთან, თუ არაო, რომ ცოლის მწველებელს და გამტანჯველს პიკო ჩოლაყაშვილს აპატიონო? ან როდესაც იგივე კრება სჯიდა იმაზე, რომ ვიშუამდგომლოთ, თუ არაო, რომ ვიდაც ჩხენიძეს, რომელსაც აზნაურობის ღირსება დაკარგვია, ეს ღირსება მიენიჭოსო? ანუ კიდევ მაშინ, როდესაც ეს კრება სწყვეტ-

*) „დროება“, № 99 და 100.



და, რომ ვილაღ სხვა ორი თავადის თუ აზნაურის, რაღაც სისხლის საძარტლის დანაშაულობისათვის, ციმბირში გაგზავნილებს, პატიობა ვითხოვოთ?

რას შერებოდა, იმერეთ-სამეგრელოს თავად-აზნაურობის ჭკუით, ქვეყნის თვალი და ამ საზოგადოებისაგან ასე პატივცემული უფ. ნიკ. ლობაერიძე და იმის მომხრეები, როდესაც ამ კრებაში მომეტებული ნაწილი თავად-აზნაურობისა, თავის-თავის—და სასიკცხოთ, გაიძახოდა და ყვიროდა, რომ „ბანკის ფულები ჩვენი ფულებიანო, ქმ ფულებიდან ერთი კაპეიკი არ უნდა ერგოს გლეხის შვილსაო, თუ გლეხის შვილიც ისწავლის რომელსამე შკოლაში, იმ შკოლას ჩვენი ბანკიდან დახმარება არ ერგებოდ, გლეხის შვილს ჩემ შვილს გვერდით როგორ ამოუსვამო“ და სხვ. და სხვ.? რას შერებოდნენ, სად იყვნენ გაბატონებული ლობაერიძეები, როდესაც ამ გვარი სიტყვების წინააღმდეგ თითო-ორი-ლა ხმა გაისმოდა ხოლმე ზოგიერთ ახალგაზღვრებისაგან და თავად-აზნაურობა ცდილობდა ამ ხმების ჩაჩუმებას?

რატომ ერთი ხმა არ ამოიღეს ამ დროს ამ პატივცემულ თავად აზნაურობის წინამძღოლთა? რატომ უმეტესობის უმეტრებას, გაუკებლობას წინ არ აღუდგინენ? რატომ არა სთქვეს რამე ჭეშმარიტების, საზოგადო ინტერესების და საცველად? რატომ პირ-და-პირ არ გამოაცხადეს თავის აზრი, თუ კი ჰქონდათ რაიმე აზრი? რატომ არა მსთქვეს, რომ ეს სიკცხვილია, უკადრისია თავად-აზნაურობისთვისაო, რომ ავაზაკების პატივებზე უფრო საჭირო სათხოვნელი აქვს ჩვენს საზოგადოებასაო, რომ გლეხისა და თავად-აზნაურის ინტერესი ერთი და იგივე უნდა იყოს და არის?

რატომ არა სთქვეს?—მე ვიცი—რატომ არა სთქვეს და ამ მიზეზის შეტყობა ძალიან საინტერესოც არის.

უფ. ნ. ლობაერიძის თითქმის მთელი გავლენა თავად-აზნაურობაზე და პატივის დამსახურება იმის გარეგან შეხედულობაზედ, ყველასთან თავ-მდაბლათ, ტკბილად მოქცევაზედ, ყველის ეჭვარით ღრეჯით შეყრაზე არის დამყარებული. რაც უნდა მტერი იყოს შენი, რაც უნდა სძულდეს, ჩუმად რომ სასიკვდილო ორმოს გითხრიდეს, პირში ისე ტკბილად, ისე ალერსიანად, ისე თავ-მდაბლად შეგვეყრება, რომ თითქო შენ იმისთვის ერთი უძვირფასესი რამა ხარ ქვეყანაზე, თითქო განუასღვრელი სიყვარული და პატივის-ცემა აქვს შენი. რაც უნდა უთხრა, დაგეთანხმება; რაც უნდა შეუკვეთო, ეცდება, სიტყვით მაინც, შეგისრულოს; რაც უნდა აწყენინო, პირში არ გაწყენინებს, საწინააღმდეგო სიტყვას არ გეტყვის.

იმერლებს უყვართ ამ გვარი რბილი და თავაზიანი კაცი. უფ. ნ. ლობაერიძემ კარგათ იცის, რომ იმის პატივის-ცემა თავად-აზნაურობის თვალში უფრო ამ იმის ხასიათზედ არის დამყარებული, და ამის გამო რაც უნდა დაემართოს, არ ეწინააღმდეგება ამ საზოგადოებას; თავად-აზნაურობა რომ უბსკრულისაგან

მიდიოდეს, დალუბა რომ მოელოდეს იმას, თავად-აზნაურობამ რომ ორასი მრუდე ნაბიჯი გადაადგას, ერთხელ არ ამოიღებს ის ხმას, ერთხელ არ ეტყვის: „მანდეთ ნუ მიდიხართ, აი სწორი გზაო!“

რატომ? იმიტომ რომ ეშინიან, ვაი თუ ეწყინოსთ ჩემი წინააღმდეგი აზრიო და შემდეგ გავლენა და პატივი დაეკარგოთ!

მკითხველი უჩემოთაც მიხედება—თუ რა საძაგელი გავლენა, რა გამრყენელი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს ამისთანა კაცს საზოგადოებაზედ.

სხვათა შორის, ეს არის ერთი იმ მიზეზთაგანი, რომლის გამოთაც ამგვარი ზნისა და ხასიათის კაცებთან ჩვენ არაფერი არა გვაქვს საერთო. ჩვენის აზრით, პირმოთნობისა, იესუიტობისა და საზოგადო ღელვის მიმდევრობისთანა ცუდი და მანებელი არა არის-რა საზოგადო მოქმედების ასპარეზზე გამოსულ კაცისათვის; ხალხის წარმატების გზაზე მსვლელობას ასე არაფერი არ დააბრკოლებს, როგორც ამგვარი მოწინავე კაცები..

ს. მ.

(ზაგარბელება იქნება)

პასუხი თ. ნ. დადიანს *)

იმაზედ უარესი არა არის რა მწერლისათვის, როცა მს ანაბანას მოზებრივ კაცთან ეამთავითარების გამო შეემთხვევა გამოსარჩლება. იმ იმულებულია წამის წამს ანაბანური აზრები მოანბანეს განუშარტოს და ამასთანავე ზრდილობის წესი და რიგიც მოაგონოს ხოლმე. მს მძიმე ტვირთი კიდევ უფრო აუტანელი ხდება, როცა მას წინ უდგას ორმოცის წლის მარტივი მოწაფე ბუნებისა; მაგრამ რას იზამ, რომ უამისოთ ასი და ათასი მისივე მგზავსი თვალ გაფაციცებით და ყურებ აცქვერით შესცქერიან თავის მოკლურტუფე ამხანაგს და თუ რომ ზემოხსენებული მოველოება კისრად არ იდევ, ბუნების მარტავს მოწაფეს უმეტრება სიბრძნეთ ჩაეთვლება და უზრდველობა დარბაისლურ ყოფაქცევათა.

* * *

„ბაყაყური ერთხმადანი, უსინიდისო, ყროყინა კარაული, უნამუსო, იესუიტი, ვერაგი!“ ვისგან მესმის ამისთანა სიტყვები, ნუ თუ ამაებს ისურის პირიდან ის თ. ნ. დადიანი, რომელიც სამეგრელოში ბრძნათ და დარბაისელ კაცათ მიაჩნიათ? არ ეგვონა, სწორეთ არ გეგონა, მეგრეთ ფილოსოფოსო, თქვენი აგრეთი გაკადნიერება, რომ ფილოსოფურს მანტისას ასე მალე ამოსერიდით გულისთქმის ტლახში და მართალი რომ გკადრეს, იმის გამო თვითვე ჩაგარდებოდით იმ წუმბეში, რომლის უხეფებითაც ასე უხვად და უმართლოთ მასხურებთ. ნეტა რას იტყოდით თქვენ და თქვენი მომხრეები მეათედი თქვენის კადნიერებისა თქვენზედვე რომ მომეხმარა. მაგრამ სიტხარე და ჯორზე ჯდომა სხვებისთვის მიმინდვია. ჩემი საქმეა, შეძლებისამებრ

*) „დროება“, № 102.

ჭეშმარიტების ძიება და უმრავლეს შემთხვევაში უმრავლეს შემთხვევაში, რამდენსაც კი შევიძლებ, რომ განვიმარტოთ ჩემი სიტყვების აზრი.

უ. ბიორგი წერეთლისთანა უცხო ენებზე განათლებულ მწერალსაც ისე თავ ზარი დაცემია, რომ ლოლიკა მოუშლია და დაუწერინებია განსვენებულ ბესარიონზე, რომ, კარგი რომ იყო, მიტომ ვაგინებდით და ვებრძოდითო და ამითი უკეთესი შეიქმნებოდაო!!!“

ასე აქართულებთ განა ჩემს სიტყვებს? ამას ჩვენში ვეძახით მ. მენელის გაუგებრობას. მე მაგ აზრით არ მითქვამს. აი, ჩემი სიტყვები:

მომეტებული ნაწილი ახალგაზღვრებისა, რომლისაგანაც ის მოკლდა სიცოცხლემდე თავის ღვაწლის დაფასებას, თუმცა გულში დიდს პატივს სცემდა იმის მოღვაწეობას, მაგრამ იმას არ უნდოდა, ეს პირად ეჩვენებინა და ხშირად სანდურავს უცხადებდა—მხოლოდ იმ აზრით, რომ ამ კეთილშობილს, დაუღალავს გვამს კიდევ უფრო მეტი ეღვაწა.

პუბლიცისტიკა და ლიტერატურა, რომელიც სწორს გზაზე დგას ცხოვრებაში, მოასპარეზე კაცისადმი ვალდებულადღებას არ იკადრებს, თუნდ რომ იმ კაცს ბევრი ჩინებული ღირსებაც ჰქონდეს. მწერლობის საქმეა მხოლოდ იმ შეცდომების ჩვენება, რომელიც იმ კაცს მოუხდენია, ერთი იმისთვის რომ თვით მოასპარეზე კაცი გაათხილოს, რომ კადევ სხვა შეცდომები აღარ მოუვიდეს და მეორე იმისთვის რომ თუ მოასპარეზე კაცი ამ თავის შეცდომებს ყურადღებას არ მიაქცევს, საზოგადოებამ მაინც თვალი გამოახილოს, რომ ცუდში და კარგში ბრმათ უკან მაინც აღარ მისდევდეს თავის მოწინამძღვრეს. ამას მოითხოვს თვით საზოგადოების სარგებლობა, ეს არის ყოველი სინილისიანი მწერლის მოვალეობაცა.

ბარგს მომქმედს კაცი ქება არ ჰკრიბის მითია გულ ამაყი, რომ თავის მოძქეებს დახმარებია, ისინი დ უფალებია. ამ თავის ქველ-მოქმედებას ის ბევრნაირათ გრძნობს საზოგადოებისაგან. მართი რომ იმას პატივისცემა ემატება საზოგადოებისაგან, მას უფრო აფასებენ, იმისი გაცნობა და კეთილიგანწყობილება ყველას სასიქადულოთ მიაჩნია, ყოველს საზოგადოების საქმეში იმას დიდი ხმა აქვს. ამდენი პატივისცემით გულ გამაყებულს ქველ მოქმედს კაცს ქება-გალობა და ღალადება რაღათ უნდა და ვინც კი ამაებს კადრულობს, იმას პირმოთნეს და გლახაკს ეძახიან. პუბლიცისტიკა და საზოგადობრივი კრიტიკა გლახათ უბანი ხომ არ გეგონათ, რომ ლიტერატურას აყვედრით მ. ლობაერიძე სიცოცხლეშივე ქებით რატომ არ შეამკეთო?

რასაც კარგს ეგაჭეთებს მოასპარეზე კაცი, ეს ხომ საზოგადოების და ქვეყნის სასარგებლოთ რჩება. ამას ჰო, ჰო! ძახილი აღარ უნდა, უმისოთაც ყველა გრძნობს მშრომელის სიკეთეს. მწერლობის და პუბლიცისტობის მოვალეობა მართლა საზანდრის მოვალეობა კნუ გვონიათ, რომ ვაშა, ვაშა უმღეროს



ვისმე. იმის წმინდა მოვალეობაა დიდა და პატარის გაფრთხილება, იმათი შეცდომების ჩვენება. პუბლიცისტიკას, რომელსაც მარტო ქვეყნის და საზოგადოების სიკეთე მუდამ თვალ წინ უდგას, რას დასდევს კერძო პირის წყენინებას, თუნდ რომ იმას დიდი ღვაწლიც მიუძღოდეს საზოგადოების წინ. რაც უფრო მალეა დგას კაცი საზოგადოებაში, რამდენათაც უფრო დიდი საქმე ახარია იმას, რამდენათაც სწევბზე უფრო გონება გახსნილია, იმდენათ უფრო დიდს პასუხისმგებლობაში ვარდება ის საზოგადოების წინაშე და იმდენათაც უფრო ფიცხად სდევნის მას პუბლიცისტიკა, თუ კი რამ შეცდომილება უნახა. როგორ არ იცით ეს უბრალო ჭეშმარიტება, რომ ვიაც მეთი ეკითხება, იმას მეთიც მოეთხოვება.

თქვენ მეტყვიეთ, რა სჭირდა ცუდიო განსვენებულს ბ. ლოლაბერიძეს?

მისი უმთავრესი ნაკლულევაება იყო კაცის უცნობელობა და გაუბედაობა იქ, საცა უშიშარი და პირ-და-პირი მოქმედება საჭარო იყო. სწავრებაში ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კაცი რამდენათაც უმანკო და მართალი გულისარის, იმდენათ მალე მოსტყუვდება და ცხვირით სატარებელი ხდება ხოლმე, თუ არ გაფრთხილდა და გაიძვერაების ხელში თავი ჩაიგდო. რამდენია ისტორიაში და სწავრებაში იმის მაგალითი, რომ დიდი კეთილ-მოქმედი, გონებაგახსნილი, მაღალი ზნისა და კარგი ყოფაქცევის კაცი მოტყუებულან გაიძვერა მზაკვარ კაცებისაგან და ბევრი ცუდიც ჩაუღენიათ. ნერონისთანა გულწრფელი ყმაწვილობაში და დიდი ნიჭის კაცი რომის იმპერატორებში ბევრი არ ყოფილა, მაგრამ პოპპეა საპინას და მესალინასთანა ქალებმა იმდენზე მიიყვანეს, რომ ჯერ განიზრახა ჩემი დამბადებელი საშო უნდა ვნახოვო და ამი გულისთვის საკუთარის დედის გვაში ხ.ნჯლით გააპობინა; მერე ისიც იფიქრა, რა კარგი საყურებელი იქნება ჩემი სასახლის ბანიდან რომის ქალაქს ცეცხლი რომ წაუეუკიდოვო. და იმ დროს, როცა დიდი და პატარა ცეცხლში ითუთებოდნენ, ის ბანზე ავიდა, თარზე დაუკრა და ზედ სიამოვნებით დაამღერა რომის ცეცხლის წაკიდება.

ისპანის კაროლი შალიბე მეორისთანა მაგარი ხასიათის და დიდი ჭკუის ხელმწიფე ორიც არ დაბადებულა, მაგრამ ღეროვან ალბასთანა და ბორკვემალისთანა კაცებმა ისე გადიეოლიეს, რომ ჯერ შვილი მოაკლევინეს, მერე ჰოლლანდია ქვეყნისთვის ცეცხლი წააკიდებინეს და ბოლოს თვითონ ისპანის სახელმწიფოში ისე გააძლიერებინეს დიუნულება, რომ მის შემდეგ ისპანის სახელმწიფოს თათქმის აქამომდე აღარ გაუხარია.

შეხედურებაც ეგ არის, რომ მაღალი ზნისა და მართალი გულია კაცი ამ ჩვენს მაცდურს დროში უფრო ადვილათ ვარდება გაიძვერაების ხელში, და ხდება იმათ საფარხმალოდ.

მს რომ ასე არ ყოფილიყო განა ჩვენ

ნი უბედური მხარე დღეს სხვის სალუკმა-პუროდ განდებოდა, ან იპერეთი ბ. შალავისა და ნ. ლოლაბერიძისთანაკაცების ყურ-მოჭრილ მონათ შეიქნებოდა?...
 ბულწრფელი კაცების უმთავრესი ნაკლულევაება მხოლოდ იმასში მდგომარეობს, რომ ისინი გაიძვერაების სალუკმა-პურათ და იმათ ფარხმალოთ ჰხდებიან ხოლმე.

აღარ ვსაჭიროებ ამ აზრის მაგალითებით განათლებას. ამის მაგალითი დღეს თვალ-წინ გიდგასთ. თუ ჭკუა და გონება შეგრჩენიათ, ალბათ თქვენც კარგათ ხედავთ, თუ არა, ეგ რა ჩემი ბრალია?...

ბ. წერეთელი
 (შემდეგი იქნება)

დღიური

* * ბათუმის მაზრის გამგეობამ იშუაპდგომლა ამას წინათ უმაღლესს მთავრობასთან ოცი-ათასი მანეთის დარიგება სესხათ მინტრიშის ხეობაში, რომელსაც ამ უკანასკნელ ომის დროს ყველაზე უფრო მომეტებული ზიანი მიეცა.

მთავრობამ გადაწყვიტა ახლა ამ ფულის სესხად დარიგება მინტრიშის ხეობის ხალხისათვის. მთხი ათასი მანეთი ამ ფულიდამ უკვე დაურგდა და ახლა უნდა დაურგონ კიდევ დანარჩენი 16,000 მანეთი.

რასაკვირველია, რომ ეს თექვსმეტი ათასი მანეთი ვერ განკურნებს ყველა წყლულებას, რომელიც ჰობულეთის მაზრის ხალხს მიეცა; ვერ განკურნებს იმიტომ რომ გაჭირვებულები, უსახლკარონი და ულუკმა-პურონი თხუთმეტ სოფლამდინაა, ხუთი ათას სულამდინ; მაგრამ რაც უნდა იყოს, თუ სინდისიანათ დაარჩეს ეს ფული, ესეც ცოტადენ შალავათს მისცემს.

* * მართის ჩვენის თანამემამულითსაგან უფ. პო. ბერიძისაგან, რომელიც ამ ქამად იტალიაშია (ნაპოლში) მხატვრობის სასწავლებლად, ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ წიგნი, რომელშიაც გეწერს, რომ, გაჭირვებულ ჰობულეთელთა სასარგებლოდ, ის სწირავს თავის ნახატს ორ სურათს—პირს რემბრანდტის და რუბენის სურათისას; ეს სურათები აქაურ მუზეუმში ექსპერტებმა 200 ფრანკად დააფასესო. მაგრამ, რადგან გამოსაგზავნი ფული არა მაქვს, ამ ფულს (15 მანეთამდინ) გეთხოვს. დიდს სიამოვნებით მივიღებო, რასაკვირველია, ამ შეწირულებას, იმ იმედით, რომ აქ ეს სურათები იტალიაში დაფასებულ ფასზე ერთი-ორად გაიყიდება.

* * მასულ ორშაბათს მთილისის ქალაქის რჩევაში თათქმის მთელი სხდომა სავაჭრო პოლიციის თაობაზედ იყო სჯა. საზოგადოთ ხმოვანებისაგან ის აზრი

იყო გამოთქმული, რომ ახლანდელს სავაჭრო პოლიციას, ე. ი. მასწავლებლად და ნაცვლებს, სარგებლობის მაგიერ უფრო მომეტებული ვნება მოაქვთ ქალაქისათვის, იმათა და ვაჭრებს პირი აქვთ ერთმანეთში შეკრული, ტაქსას არ უყურებნო, ქრთამსაც იღებნო და სწვ. ბოლოს, დიდი ხნის მოღაპარაკების შემდეგ, რჩევათ გადაწყვიტა, რომ სავაჭრო პოლიციის გასამართავად ქალაქის მამგეობას მიეცეს წელიწადში 8,040 მანეთი.

* * ძვეკასიის სამასწავლებლო მაზრის „სტიკულიარის“ უკანასკნელი ნომერი გვაცნობებს, რომ მაზრის საუფზლო სასწავლებელი ოთხ-კლასიან საქალაქო სასწავლებლად გადაკეთდება, საცხენისის პირველ-დაწყებითი შკოლა ორ-კლასიან სასწავლებლად და შუთაისის გიმნაზიის მოსამზადებელ კლასს მეორე განყოფილება მოემატება.

* * შუთაისილამ გეკითხავენ: მართალია, თუ არაო, რომ ვითომც ლოლაბერიძეებს გამოგზავნოსთ თქვენთვის „ლოლაბაში“ დასაბეჭდათ რალაც სტატიები და თქვენ არ დაგებუქდოსთ? ამ ხვას თვითონ ლოლაბერიძეები ავრცელებენ აქაო.

ამ კითხვის პასუხად ვალდებულად ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ლოლაბერიძეებისაგან ჩვენ არავითარი სტატიები და არც სხვა რამ ნაწერი გაზეთში დასაბეჭდათ არ მიგვიღია. იქნება გამოგზავნეს და ფოტოში დაიკარგა; ამის გამო უმორჩილესად ვსთხოვთ ხელ-ახლად გამოგზავნონ და დაწმუნებული იყვნენ, რომ შეუცვლელად დაგებუქდავთ...

* * ჩვენ შევიტყეთ, რომ მთილისის ქართული სცენის მოყვარენი მომავალს პარასკევს საზაფხულო თეატრში აპირებენ ანტონოვის კომედიის „მზის დაბჩელები“ წარმოადგენას.

* * დღეს, შაბათს და მომავალ ორშაბათს მთილისის ქალაქის რჩევაში, შემდეგ საგნებზე იქნება სჯა:

მოხსენება მამგეობისა შტატებზე;
 კამისიის მოხსენება ინჟინერებთან: ზამიატინთან, პოპოვთან და შმანსკისთან პირობის შეკვრაზე წყლის გაყვანისა და ქალაქის პლანის შესახებ;

მოხსენება კამისიისა პირუტყვის საკლავ ადგილზედ;

მოხსენება კამისიისა იზვოსჩიკების ტაქციანზე;

მოხსენება ფინანსის კომისიისა საქალაქო ბანკის დაფუძნებაზედ;

აზრი ქალაქის მამგეობისა სასაფლაო ადგილის ამორჩევის შესახებ და სწვ.



განცხადებანი

„წიგნის-ცოდნის გამავრცელებელის საზოგადოების“ თავმჯდომარე მოიწვევს უფ. უმადოვნელთ და ნამდვილთა წიგნთა საზოგადოებისა საერთო ყრილობაში უამოცავალ-გასავლის მოსაზრებულ ანგარიშის (სმება) გაუიწვევისა და დამტკიცებისათვის.

ყრილობა იმდება 21 მაისს, ორშაბათს 11 საათზე; დილით, თავად-აწინაშრომის განკის ზალაში. (3-3)

14 კავიკი ღუშინი სიჩკა

დიდი კარობებით 1 სორტისა, ისეილება სასახლის ქუჩაზედ, ეკლესიის შენობაში ნამესტნიკის ბაღის პირ და პარკანცელარისა და მხატვრობის კუთხელობის მალაზიაში.

მინც ხუთს ანუ მეტ კარობკას იყიდის, იმას დაეთმობა კარობკა 13 კავიკათ. (5-1)

ამ მაისის 15-დგან გაღებული იქნება შვა-მარკის მალაზია შ. გორში და ხაშურში. გორში—ზიორგი რომანოვთან და ხაშურში—ცუკუნია არუწოვთან.

გორში და ხაშურშიაც ქვა-მარილი ყოველთვის იმ ფასად გაისყიდება, რა ფასადაც თფილისში ისყიდება.

ბრიგულ ბარმაგი და ბიორგი რომანოვი. (15-5)

ვისაც სურს იყიდოს მშრალი ხეები ფიჭვისა და სხვა საშენებელ ტყის, შეუძლიან მიმართოს რკინის გზის ვაგზალზედ, სადაც შეშას აწყობენ.

დაწერილებით პირობების შეტყობა შეიძლება არგნალის ქუჩაზე სხლის № 31 უფ. შუდინოვის სახლებში. იკითხეთ ბუჭყიაშვილი. (3-3)

თფილისში, უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში ისყიდება

თ. ალექსანდრე ჯამბაქურიან-ოტბელიანის ნაწერი

ლა ოტხი ლემსი თ. ვახტანგ ოტბელიანისა

შასი წიგნისა ათი შაური. (5-5)

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და აგრეთვე შოთაისში—უფ. ა. მესხის მალაზიაში ისყიდება

„პაი ზკუისაგან“ კომედია ოთხ მოქმედებად ბრიგოვ დოვისა. ნათარგმნი ბრ. ა. წინიმძღვაროვის-მიერ. (5-1)

შასი—მეხისი შაური

გამოვიდა და ისყიდება

„ბუბიაოლა“ ვოდევილი აკაკი წერეთლისა ისყიდება: ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მალაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში—ბუბიაოლაზე. (15-5)

შასი—ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და იყიდება უფ. ჯამბაქურიანის „შარამანიანისა“

ტუკიის ხილზედ, მართანოვის წიგნის-მალაზიაში მირზაოვის დუქნებში. და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III, IV, V, VI და VII კარი შარამანიანისა შასი 40 კავ.

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში

იქი შვა ჟოკვლენიკი ახალი შართული წიგნები.

მალაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკლესიის ქვევით დუქნებში. ბარეშე პირებს შეუძლიანთ ამ აღრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ, Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და შოთაისში უფ. პოტე მესხის წიგნისეე მალაზიაში ისყიდება:

ალმანახი

შედგენილი ბ. თუშანიშვილისაგან წიგნი მეორე გამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან შასი—ორი აბაზი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მაისის 31-ს, იმის თან-დასწრებით, შარავში იქნება მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა (ტორგი) მეტეხის ციხისათვის 149 საყენის და ერთი არშინის შეშის იჯარით მოტანაზედ და აგრეთვე ბუბერნიის საპრობილისათვის 136 საყენის შეშისა მომავლის 1880 წლისათვის.

რკ. ბზა.	დღეა.	ს.ღა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაბ.	გაზანდა	მანკაბ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	მ.კაბ.	მ.კაბ.	მ.ცი სიტყვა	თფილისი	18 მაისს.		მრევს. მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქაქავისის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	0	ფქე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2 5	ავთმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორჯი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვი, მდგესს, მოსკოვი	2	შერი ფუთი	110	მო შაბათს: მერმიშვილი და ბარლევინი—შინაგ. ავთ., მიუჩინა
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	პეტერბურსს, მარშაგას.	2	ბაზა მრევისა, ფუთ.	7 20	როსტოვი—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
სურამი	1 44		4 90	2 61	მსმალეთში, შევიც რაში.	3	— სმერკიკაა, ფუთი	8 30	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახტოვი—საბებლო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
შვილი	5 49		7 21	3 69	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტალი ბაზა ფუთი.	9 60	მოთ შაბათი: მერმიშვილი შინაგანი ავთმყოფობის.
რიონი	6 57		8 44	4 31	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფუთი	6 60	სხუთ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახტოვი—საბებლო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
სამტრედია	7 51		9 66	4 93	უოტბა		— თარაქამისა ფუთი	3 80	მოთ შაბათი: მერმიშვილი შინაგანი ავთმყოფობის.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ა) თფილისიდან: სამხლვარ გართ, მუთასს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. პახეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან: თფილისისა და შოთის კენყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგვთს—ორშ. და პარასკ.		— სმერკიკაა, ფუთი	5 70	მოთ შაბათი: მერმიშვილი შინაგანი ავთმყოფობის.
შოთა	9 50		12 24	6 26	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამხლვარ გარეთ;		— თარაქამისა ფუთი	2	ნაგ. პ. ბახტოვი—საბებლო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
შოთი	9 3				ლია წიგნის	3	პბრეშუში ნუხური სტ. მონი, ფუთი	5 70	მოთ შაბათი: მერმიშვილი შინაგანი ავთმყოფობის.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8	და კლიდის (ხამი მინსალი)	8	მონის სანთელი ფუთი	7 20	მოთ შაბათი: მერმიშვილი შინაგანი ავთმყოფობის.
სამტრედია	11 5		2 61	1 33			სტეპარისის სანთელი, ფთ.	12 50	სხუთ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახტოვი—საბებლო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
რიონი	12 13		3 84	1 97			ხორცი ძროხისა, ლიტ	81	სხუთ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახტოვი—საბებლო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
შვილი	1 18	დამე.	5 3	2 56			— ცხვრისა, ლიტა	1 8	ნაგ. პ. ბახტოვი—საბებლო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
სურამი	5 12		1 10	7 34			სპირტი ვიდრო	4 50	პარასკევს: მერმიშვილი—შინაგ. პ. ბახტოვი—საბებლო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
ხაშური	5 39		1 37	7 51			შაქარი, ბროც. ფუთი	7 30	პეუნოვი—თვალისა.
ბორჯი	7 5		4 89	24 4 73			— ფხვნილი ფუთი	5 60	
მცხეთა	8 50		6 59	11 39			ქავა გრგვლი, გირგ.	95	
თფილის	9 31		7 56	12 24			ქეთი ქუნჯუთისა ფუთი	11 80	
							თამბაქო, საშულო ფთ.	6 50	